



*კლუბის სახელწოდება - ფეხბურთის კლუბი*

*სამიზნე ჯგუფი: თანამედროვე განათლების აკადემიის I-VI კლასის მოსწავლეები*

*კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია - ლევან ხელაშვილი;*

*კლუბის გაკვეთილების რაოდენობა - კვირაში 2-ჯერ.*

*თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა - 50 წთ.*

*კლუბში გაწვევრიანების წინაპირობა - მოსწავლის დაინტერესება და ასაკის შესაბამისობა*

*მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა - მინიმალური-15, მაქსიმალური-25*

*კლუბის მიზანი - კლუბის მიზანია, მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება. ფეხბურთის კლუბის ფარგლებში ისინი აიმაღლებენ ფიზიკურ მონაცემებს, განივითარებენ გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარებს. კლუბი ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ურთიერთდახმარებით და პასუხისმგებლობის განაწილებით განიმტკიცონ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ფეხბურთის კლუბი დაეხმარება მათ მიღწევის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, წაგების ღირსეულად მიღებასა, ჯანსაღი ცხოვრების წესის, როგორც ფასეულობის, აღქმა და ცხოვრებაში დანერგვაში,*

*ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები : კლუბის ფარგლებში ისწავლიან ფეხბურთის ძირითად წესებსა და ილეთებს. დაეუფლებიან ბურთის ტარებას წყვილებში და ინდივიდუალურად, ბურთის კენწვლას, ბურთის ტარება ორივე*

ფეხით, მგორავ ბურთზე დარტყმას, ბურთის ტარებას ბარიერებში, კარში დგომას, ბურთის ფლობას თავით, ბურთის კენწვლასა და სხვა. გამოყენებული იქნება სწავლა კეთებით და დემონსტრირება.

ძირითადი რესურსები - *ღია მოედანი, სპორტ დარბაზი, ფეხბურთის ბურთი, ბარიერები.*

**კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები** (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა) - *ექნებათ როგორც შიდა ასევე სხვადასხვა სკოლებთან ამხანაგური შეჯიბრები.*

**კლუბის ხელმძღვანელის მოკლე რეზიუმე** – *ლევან ხელაშვილმა 1994 წელს დაამთავრა ფიზ. აღზრდისა და კულტურის ინსტიტუტი. 1995 წლიდან დღემდე სკოლაში მუშაობს სპორტის პედაგოგად. 1999 მუშაობდა საფეხბურთო კლუბ „მერანში“. პარალელურად მუშაობდა ვაკის ბმესს მწვრთნელად. 2003-2005 წლებში იყო ფეხბურთის მწვრთნელი სკ. „ვიტ ჯორჯიაში“. 2015 წლიდან დღემდე აკადემიაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი და ფეხბურთის კლუბის ხელმძღვანელია.*